ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1603192

ნომერი: AR1266850

თარიღი : 18.11.2014

გაცემის თარიღი : 20.11.2014

გაცნობის თარიღი : 01.12.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოტე აფხაზი , N 26-28-30 , ჩიხი ტყავი 1 , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ინჯია პ/ნ 01013000392
- მარტვილი ს. ნალეფსაო

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, (სექტორი – კრწანისი) ლესელიძის ქ. N26–28–30/2 არსებულ შენობაზე I კლასის სამუშაოების განცორციელების შესაძლებლობის წერილობით დადასტურებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფოტომონტაჟით გათვალისწინებული რეკონსტრუქცია თავისი მახასიათებლებით არ განეკუთვნება I კლასის სამუშაოებს, რის განხორციელებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას, და საჭიროებს პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (პირველი სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება; მეორე სტადია – არქიტექტურული პროექტის შეთანხმება; მესამე სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა). მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წამოების დაწყება.

იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა, საჭიროა განაცხადი დაარეგისტრიროთ შესაბამის ნომენკლატურაში და ატვირთოთ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია, ამასთან, მიშენების შემთხვევაში, პირველ ეტაპზე უნდა დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადების მოთხოვნა

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge